ლაზერი



ალბათ, გინახავს ლაზერის მანათობელი. მაგრამ მისი თვისებების შესახებ ბევრი რამ, შესაძლოა, არ იცოდე. წაიკითხე ტექსტი და გაიგე, რით გამოირჩევა სინათლის ეს წყარო.

ჩვენ სინათლის ბევრი **წყარო** ვიცით. ესენია: მზე, ელვა, ნათურა, კოცონი... მათი შუქი ადვილად იფანტება. ლაზერიც სინათლის წყაროა. ის ძლიერ ანათებს. მაგრამ მისი შუქი ერთი ფერისაა. ის არ იფანტება. ლაზერის **ვიწრო** სხივი შორს ანათებს. მისი ძალა კი სულ არ იკლებს.

ლაზერი სითბოს გამოყოფს. ამ სითბოს დიდი ძალა აქვს. ეს მაშინ ჩანს, როცა მისი სხივი ერთ საგანს ეცემა. ასე რომ, ლაზერის სითბოს ძალას ლითონის გაჭრაც კი შეუძლია. ლაზერს ექიმები ოპერაციის დროს იყენებენ. მისი სხივი ზუსტად ჭრის და ,,კერავს" ჭრილობას.

ლაზერით ასევე დიდ მანძილს ზომავენ. 1962 წელს ლაზერი მთვარეს მიანათეს. სხივმა მთვარეს ორ წამში მიაღწია. ასე გაიგეს ორ პლანეტას შორის ზუსტი მანძილი.

დღეს ლაზერს ბევრ რამეში იყენებენ. ის ყველა სახის სამუშაოს ასრულებს. ლაზერით რაკეტა იმართება. ასევე იღებენ სურათს, იწერენ ბგერებს...

(ტექსტი მომზადებულია „საბავშვო ენციკლოპედიის" მიხედვით. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

უფროსებისგან, ალბათ, არაერთხელ გაგიგონია, ლაზერის თვალებში მინათება არ შეიძლებაო. დაფიქრდი, რა შეიძლება იყოს ამ შიშის მიზეზი.

კომპონენტი: *შეკვაბება*, **დონე:** *2.2*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 სინათლის სხვა წყაროსგან განსხვავებით:

ა) ლაზერის სინათლე არ არის ძლიერი.

ბ) ლაზერის სინათლე არ იფანტება.

გ) ლაზერის სინათლე შორს ვერ ანათებს.

2 ლაზერის სინათლე ძლიერ სითბოდ გადაიქცევა, როცა:

ა) იგი რომელიმე საგანს ეცემა.

ბ) იგი ძალიან შორს ანათებს.

გ) მისი საშუალებით ბგერებს იწერენ.

3 დედამიწიდან მთვარეს ლაზერი მიანათეს, რათა:

ა) გაეგოთ, სადამდე მიაღწევდა ლაზერის სხივი.

ბ) გაეზომათ მანძილი ორ პლანეტას შორის.

გ) გამოეცადათ ლაზერის სითბოს ენერგია.

4 რა არის ტექსტის მთავარი მიზანი?

ა) გაგვაცნოს, რა თვისებები აქვს ლაზერის სინათლეს.

ბ) გაგვაცნოს, როდის შეიქმნა ლაზერის ხელსაწყო.

გ) გაგვაცნოს, რა ოპერაციები კეთდება ლაზერით.

ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა.

მისი სხივი **ვიწროა.**

ა) მცირე სიგანისაა. ბ) საკმაოდ პატარაა. გ) ძალიან მოკლეა.

2 წაიკითხე სიტყვა „წყაროს“ ორი სხვადასხვა მნიშვნელობა.

წყარო – ა) მიწიდან ან კლდიდან გადმომდინარე წყალი.

ბ) ის, საიდანაც წარმოიქმნება რამე.

გაარკვიე, რომელი მნიშვნელობით არის გამოყენებული „წყარო“ წინადადებაში:

სინათლის ბევრი **წყარო** არსებობს.

3 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები?

ა) ვიწრო – განიერი. ბ) კაშკაშა – ელვარე. გ) ძლიერი – სუსტი.

გრამატიკა

1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. ლაზერი 60 (წელი)---------- წინ შექმნეს.
2. ლაზერი (ძლიერი)---------- სინათლეს გამოსცემს.
3. ლაზერის სინათლე ძლიერ (სითბო) ---------- გადაიქცევა.
4. ლაზერს (ოპერაცია)---------- დროს იყენებენ.

2 რომელი <u>არ არის</u> სწორი?

1. ა) ალბათ. ბ) ზუსტათ. გ) ლაზერით.
2. ა) ახალ საქმეებს. ბ) ბევრ საქმეებს. გ) საინტერესო საქმეებს.

წერა

1 დაწერე შემაჯამებელი ტექსტი „ლაზერი“. ამისათვის გამოიყენე მხოლოდ ტექსტის გააზრებისთვის დასმული კითხვები და შესაბამისი სწორი პასუხები.

მაგალითად:

1. ლაზერი სინათლის სხვა წყაროსგან იმით განსხვავდება, რომ ----------

(წინადადება დაასრულე პირველი კითხვის პასუხის მიხედვით).

---

2 მისწერე მეგობარს წერილი. უამბე, რა გაიგე ახალი ლაზერის შესახებ. გააფორმე შენი ნამუშევარი ნახატებით.